მასტერკლასი სტუდენტებისთვის თემაზე: „არქიტექტორის თანამედროვე BIM ინსტრუმენტები“

2019 წლის 13 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 405 ც აუდიტორიაში (12 სთ.) ჩატარდა მასტერკლასი თემაზე: **„არქიტექტორის თანამედროვე BIM ინსტრუმენტები“ ანუ შენობის ინფორმაციული მოდელირება**. ტრენინგს გაუძღვა GRAPHISOFT-ის წარმომადგენელი მარია კალაშნიკოვა.

მან სტუდენტებს გააცნო GRAPHISOFT-ის განვითარების ეტაპები, ინფორმაციის გაცვლის მეთოდები, ტერმინი BIM-ის განმარტება, რომელიც ნიშნავს შენობის ინფორმაციულ მოდელირებას. პრაქტიკულად, კონკრეტულ მაგალითებზე მან სტუდენტებს უჩვენა BIM ტექნოლოგიების შესაძლებლობები და უპირატესობები, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა გრაფიკული პროგრამებით **შენობის იმიტაციას** და ყველა მისი შემადგენელი ნაწილის მოდელირებას; **3D ვიზუალიზაციას,** რომელიც ეხმარება არქიტექტორს გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაში და ალტერნატივის არჩევაში; **ცვლილებების მართვას და** ყველა სახის ცვლილებების მომენტალურად ასახვას პროექტირების ყველა სტადიზე. BIM ინსტრუმრნტებით ერთდროულად შესაძლებელია შეიქმნას პროექტის დოკუმენტაცია, ვიზუალიზაცია, წარდგენა და პრეზენტაცია. ასევე მუშაობა დიდ მოცულობებზე 3D და 2D მონაცემებით, ინსტრუმენტები კოლექტიური მუშაობისთვის და ურთიერთობა მოდელის დონეზე, ინტელექტუალური ინსტრუმენტებით პროექტირების პროგნოზირება: კიდული კედელი, ფასადი, კიბე და სხვა, პარამეტრული პროექტირების ინტეგრაციის მოდული Rinoceros Grasshopper, სრულყოფილი მხარდაჭერა IFC და ენერგოეფექტურობის ანალიზი. მომხსენებელმა ასევე გააკეთა ARCHICAD 22 ვერსიის პრეზენტაცია და სტუდენტებთან ერთად შექმნა კონკრეტული ობიექტის ვიზუალიზაციაა. კომპანია GRAPHISOFT-ის უპირატესობაა ჯგუფური მუშაობის სესაძლებლობა, რისი დემონსტრირება მოხდა კონკრეტულ ობიექტზე.

ბოლოს მარია კალაშნიკოვამ სტუდენტებს შესთავაზა კონკურსში მონაწილეობა, რომელსაც GRAPHISOFT ატარებს ყოველწლიურად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სტუდენტს შემდეგ ნომინაციებში: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი ობიექტი. კონკურსზე წარდგენილი ობიექტი შექმნილი უნდა იყოს BIM ტექნოლოგიებით. დამატებითი ინფორმაცია კომპანია GRAPHISOFT-ზე შესაძლებელია ვებგვერძე: MYARCHICAD.com